№ 3 თებერვალი

1832 წელსა.

სალიტერატურონი ნაწილი

# ტფილისის უწყებათა

## ქართული ისტორია.

### მეფობა ირაკლის მეორისა.

მეფე ირაკლი დაიბადა 1716სა წელსა, მაშინ, ოდეს-
ცა მამულსა შინა ჩუენსა იყო თვით აღრეული დრო და ლეკ-
ნი ჰყოფდნენ ზედ დასხმასა კახეთსა ზედა, რომელნიცა
ოდესმე იყვნენ მოყვრულნი და ოდესმე მძლეველნი; დროსა
მას საქართველოს მეფენი ითმენდნენ სპარსთა და ოსმალოთა-
გან მრავალსა შეიწროებასა და აწუხარებასა. აღზრდა მეფის
ირაკლისა ერწმუნა ბრძენთა მოძღუართა: კათალიკოსს ანტო-
ნის და მღვდელს ზაქარიას. დროსა სიყრმისასა, გარდა დიდ-
ნაწილურთა სწავლათა, ასწავლიდნენ მას ცხენსაზედა ჯდო-

მისა, ნიშანსა ზედა სრულიასა და სხუათა მსგავსთა ამისთა. მი-
იღო რა საჭირო განვითარება, იგი დარწმუნებულიყო ჭეშმა-
რიტებასა მას შინა, რომელ ქრისტიანულსა სჯულსა აქვს დიდი
მოქმედება ძლიერებასა ზედა სახელმწიფოჲსასა და ყოველი
იგი, რაჲცა არა ეშესაბამების კანონთა მისთა არს სავნებელი
ერისა და სახელმწიფოჲსა. აღვსებულსა გრძნობათამიერ
კეთილმოწინებისათა სარწმუნოებისადმი, აქვნდა განუსაზღ-
ვრებელი პატივისცემა სამღვდელოთადმი და უყვარდა ხშირად
სვლა ტაძარსა შინა ღვთისასა. გარემოებათა, რომელთაცა
საშეფო საქართველოჲსა დროსა მას შთავარდნილიყო, უჩვე-
ნეს მას გზა განხსნისადმი განსხვავებულთა ნიჭთა, რომელნი
აქვნდა ბუნებითადცა, თეიმურაზ, მშობელი მისი არა მიჰხედ-
და მტერთა, განსჯვენებით მეფობდა საქართველოსა შინა
1731 წლიდამ 1737 წლიდმდე. წელსა ამას მოტყუებული ორ-
გულებითა ერისა სპარსეთის ხანისათა, რომელიცა იმყო-
ფებოდა ტფილისსა შინა, წარგზავნილიყო ისპაანს შაჰ-
ნადირთან.

შაჰ-ნადირი არა ერწმუნა თეიმურაზსა აღთქმასა შინა,
რომელ იქმნების მორჩილი და სრულიად მოკიდებული მას
ზედა. მან განუცხადა მას, რათა დაიბაროს ძე თჳსი ირაკლი
და წარმოიდგინოს მას წინდად ერთგულებისა. თეიმურაზ

არა მალედვე აღსრულებლობა შაჰ-ნადირის ნებისა, თავსიდვა მიწოდება მისა თჳსისა ირაკლისა.

ირაკლიმან მიიღო რა წერილი მამისა თჳსისა და შაჰ-ნადირისაცა, რომელმანცა დაიბარნა მასთან ქართლ კახნიცა; ვინაჲთგან უწყოდა მან მჴნეობა და მამაცობა მათი, ესმათ რა ესე ქართველთა, არა ენებათ ირაკლისა წარსვლა სპარსეთადმი; ხოლო ირაკლიმან არა მიჰხედა ამას, სათნო ეყო ბრძანებასა მამისასა და წარვიდა იგი სპარსეთს, მივიდა რა მუნ, მყისვე წარუდგინეს შაჰ-ნადირთან, რომელმანცა ბრძანებისა გვარად და საშიშრის სახით ჰკითხა;,, არ გასთათრდები?" პასუხ უგო:,, სხეულისა ჩემისა სიკვდილი მალოგიძსთ, ხოლო სულისა არა და არაოდეს მივიღებ სჯულსა მაჰმადისასა. შემდგომად შაჰ-ნადირ ბრძანა: ნუ გეშინინ, მე არცა გაიძულებ. მეორესდღეს მიუწოდამეფეს თეიმურაზსა და გამოისტუმრა; ხოლო თჳთ განიმზადა ინდოეთზედ და ირაკლიცა თან წარიყვანა. დიდთა ომებთა და ბრძოლათაშინა წინაშე შაჰ-ნადირისა ირაკლი აღმოჩნდა უწარჩინებულეს მჴნედ, ამის გამო მან ფრიად შეიყვარა იგი და ესოდენ პატივსცემდა შაჰ-ნადირი კეთილგონიერებასა ირაკლისასა, რომელ ჰკითხავდა აზრთა და რჩევათა მისთა შეუდგებოდა, განმჭვრეტელობასა და მახვილგონიერებასა ირაკლისასა მოუთხ

რომელნ ინდოეთის ბრძენნიცა, ესე იგი, ბრამანნი და ფაკირნი

შაჰ-ნადირმან, შემდგომ ბედნიერის შესრულებისა ომ-თასა ინდოეთისა შინა, ნიშნად კეთილმოწყალებისა თჳსისა ირაკლისადმი, 1743-სა წელსა წარმოგზავნა იგი კახეთს მეფეს თეიმურაზთან და აღუთქუა მას განთავისუფლება საქართველოსა, ვითარცა ზედ დასხმისაგან ლეკთასა, ეგრეთვე სხჳათა შევიწროებათაგან.

ირაკლიმან მიიღო მმართებლობისა ქუეშე თჳსსა სამეფო კახეთისა. ახალსა ამას ხარისხსა შინა განსხუავებულნი საქმენი მისნი იყვნენ სიმხნე და მამაცობა სამხედროთა წინამძღოლებათა შინა, რომელმან სრულ ჰყო იგი უმეტეს და შეიქმნა გამოცდილი მხედართმთავართაგანი. მეორეს წელსა შემდგომ მეფობისა მისისა, გივი ამილახვარი შეწევნითა ოსმალოთათა გამაგრდა სურამის ციხე, წინააღუდგა ირაკლისა და მამულისა მისსა თეიმურაზს. მათ მიაწერეს საჩივარი მას ზედა შაჰ-ნადირთან, რომელმანცა მოსცა მათ მხედრობა. შეწევნითა ამით დაიპყრეს ამილახვართაგნი სურამი და წარუდგინეს შაჰ-ნადირსა.

შემდგომ მისსა, 1747 წელსა შაჰ-ნადირი რომელთამე გარემოებათაგან განრისხდა სპარსეთსა ზედა, ბრძანა, რათა შეკრიბონ ძლიერი ხარჯი ყოველის სპარსეთიდამ, ხოლო

საქართველოდამ განეშორა, რათა ყოველს წელს მოიყრო-
ნებოდეს ორმოცი ათასი თუმანი თეთრი ფული, რომლისა-
ცა მხმეწნელნი მეფენი და მცხოვრებნი ფრიად დაჭმუნდებოდნენ;
გარნა მასვე წელსა მოკლეს შაჰ ნადირი და ქვეყანაც იქმნა
მშვიდობა საქართველოსა შინა.

ალი ყული ხანი, რომელსამცა ეწოდა თავსა თვისსა
ადილ-შაჰ ადგილსა ტახტსა ზედა სპარსეთისასა. მან მიუწოდა
მეფესა თეიმურაზსა, ამან მიაბარა ქართლი ძესა თვისსა ირაკ-
ლის მით, რათა ჰკითხვიდეს საკუთარსა საქმეთა შესახებე-
თა ქართლისამდი იგივე მეფის ძეს ახლოვებულ ბეგსა.

შემდგომ მეფის თეიმურაზის წარსვლისა ახლოვე ჟამსა
ურჩია რომელთამე ქართველთა და სომეხთა სომხითისათა,
რათა წინააღუდგნენ მეფესა ირაკლისა. შეკრიბა მან
მხედრობა და მეფერობდა განჯისა, ყარაბაღისა და დაღისტნის
ხანთათანა და მცხოვრებთათანაცა ყაზახისა და ბორჩალო-
ისა და სხვათა, მოვიდა იგი ტფილისსა. მეფე ირაკლი
მსწრაფლ გამოვიდა მასთან შებმად მცირითა მხედრობითა,
შეეტყვნენ ასახლებულ ლიდროსა ზედა, ვიდრე შემდგომებულობასა
ზედა თვისისა მარჯვენისასა; მეფემან ძლიერად ამხედრებულსა,
ახლოს მეფემან ირაკლიმ და უზენაესმან მხედრობა მისი,
მოიგო ახლოვებით წარმოიდა, შეიქნა სამშვიდობისა ციხესა შინა.

და გაამაგრა იგი. მეორეს წელს აბდულბეგ მოიბირნა ტფილი-
სის ციხის მცველნი და უეცრად იწყეს თოფითა და ზარბაზნითა
სროლა მუხითგან ტფილისსა ზედა. მაშინ მეფემან ირაკლიმან,
შეკრიბა კახეთისა და ქართლის ჯარნი. შემოადგა ციხესა მასჩეო-
ვნელნი მოქალაქენი, რომელთაცა უყვარდათ ჴელმწიფე თვსი
და მამული ფიცხელად იბრძოდნენ წინააღმდეგომთა მათთა. დროსა
ამას აბდულბეგმან წარმოგზავნა ხუთასი ლეკი მოსაშველებლად
მეყულთა. ომი იყო ყოვლადვე სისხლმღვრელობითი; ამის
შორის სცნა მეფემან ირაკლიმ, რომელ მოვიდა დიდის ჯა-
რით დალისტნის მელადი ყოჯას და სრულებით მოაოჴრა ავჯალა,
მაშინ თჳსის ჯარიდამ გამოარჩია ორასა კაცი და სხუა ჯარი
დაუტევა ტფილისის ციხის ბრძოლად და წარვიდა, გზაზედ შემოი-
კრიბნა ქიზიყელნიცა და მოეწია მტერს ქისიყის მოლოს შირაქში
შინ შეება, მრავალი მოსწყვიდა და ყოველი წარტაცებული გა-
ღებინა, შემდგომ ამისსა მძლეველის ჯარითა უკმოიქცა და დას-
დგა დედოფლის წყაროზედ. დროსა ამას ლტოლვილნი ლეკნი
შეჰხვდნენ გზასა ზედა მეორეს ჯარს თჳსისა მამულისასა შეით-
ქვნენ და მეორეს დღეს თავს დაესხნენ მეფესა ირაკლის განზრა-
ხვითა მით, რათა ყოველივე წაართვან და განიწილონ. ჯარნი ძლი-
ერი იგი და მკნე მეფე აღმხედრებულა ცხენსა ზედა, თჳთ პირველმან
მოკლა კაცი თოფითა და უბრძანა ჯართა მხნედ შეტევება, რო-

მელთაცა დაამარცხეს ლეკნი ჲ უმრავლესნი მოსწყვიდნეს. მუ-
ნით უკუმოქცეულმან აიღო ტფილისის ციხეცა; შემდგომ წარ-
ვიდა სამშვილდის ციხეზედ, დაიმორჩილა ჲ მძლეველი მოიქცა
ტფილისადვე, 1749 წელსა, სადაცა ეგრეთვე, შემდგომ რა-
ოდენისამე თჳსა მობრძანდა ერანით მშობელიცა მისი მეფე
თეიმურაზი.

დროსა ამას მოკლეს იბრაიმ-შაჰა. სპარსეთსა შინა შე-
ქმნა აღრეულება. ყოველნი მფლობელნი, რომელნიცა იყვნენ
ხელმწიფებასა ქუეშე მის შაჰასასა აღიძრნენ, იმათ შორის უძლი-
ერესთა ზედა იყო მამადხანი მპყრობელი ადრიბეჯანის
სამფლობელოჲსა. აღძრულმან პატივისმოყვარებისაგან ისარ-
გებლა რა გარემოებათამიერ განვრცელებისათჳს თჳსისა
სამფლობელოჲსა, მან შეკრიბა ოც ჲ ათი ათასი მხე-
დარი ჲ მოადგა ზღუდესა ერევნისასა. ერევნელთა არა მქონე-
თა ძალთათა წინა-აღმდგომობად მისდა, ჰსთხოვეს შემწეო-
ბა მეფეთა თეიმურაზისა ჲ ირაკლისა, რომელთაცა კეთილნებო-
ბით წინდაუდვეს მფლობელობა თჳთ ერევნისა ჲ აღუთქვეს ყო-
ვლისა მორჩილებისა აღსრულება, რომელიცა მათ ზედა დაადებ-
ულიქმნების, ვინაჲთგან უკეთილესად ჰრაცხდნენ ყოფასა მფლო-
ბელობასა ქუეშე საქრისტიანოს მეფეთასა, ვიდრე დამორჩი-
ლებასა მაჰმად-ხანის ულისაქუეშე: თეიმურაზ ჲ ირაკლი თანხმა-

შეიქმნენ თხოვასა ზედა მათსა. ირაკლი წარვიდა წინა ხუთასის კა-
ცითა. ჰსცნა რა ქ'ე მაჰმადხანმან, თჳსის სრულის ძალით წინა მო-
ეგება და შემოიგნა მეფესა ირაკლისა. დროსა ამას მოეშველა
თეიმურაზიცა. შეიქმნა ომი. დასასრულ მოსცა ღმერთმან ძლევა
და გამარჯვება მეფესა: ამან სრულიად განამხნევა ძალი შე-
ჰმად ხანისა, რომელიცა თჳთ გაიქცა ყარაბაღს, სადაცა ჰქო-
ნდა გამაგრებული ციხე ხოროგორაბისა, რომელსაცა შინა იმყო-
ფებოდა ცოლშვილი მისი და ყოველი ქონებაცა მისი შენახულ
იყო. - მეფე ირაკლი მიჰყვა მას თჳსითა ჯარითა, აიღო
ციხე იგი, გამოიყვანა ცოლშვილი მაჰმადხანისა და ყოველი
ქონებაცა მისი წარმოიღო და მოართუა მშობელსა თჳსსა თე-
იმურაზსა ერევანსა შინა. შემდგომ მისსა ერევნის ხანი და მას-
თან ყოველნი ჩინებულნი მოქალაქენი გამოცხადდნენ მეფე-
თათანა, რომელთაცა აღუთქვეს მორჩილება. მეფეთა დადვეს
მათზედა ხარკი და დასვეს ერთი კაცი თავადთაგანი და უკმო-
იქცნენ ტფილისად. დროსა ამას ხანნი ყარაბახისა ფანაჰ, გან-
ჯისა შაქვერდი და ნუხისა აჯი-ჩალაბი შაქი შირვანის ჯარე-
ბით მოვიდნენ ყაზახს აღსტაფაზედ, რომელთაცა უთუოთ უნ-
დოდათ განთავისუფლება ხარჯიდამ. მეფეთა მიჰმართეს ყა-
ზახს მათს დასასჯელად. გარნა შეშინებულთა ხანთა ვერღა
გაბედეს ომი და დაუწყეს მეფეთა ლაპარაკი მშვიდობისა. ამით

შესრულდა მაშინ საქმე ესე.

წელსა 1750-სა ყარაბაღის ხანი ფანა მოადგა განჯას, ხოლო განჯის ხანმა ჰსთხოვა მეფეთა თეიმურაზს და ირაკლის შემწეობა, ამისთჳს მეფეთა შემოიკრიბნეს ჯარები და წარემართნენ. ჰსცნა რა ესე ფანა ხანმან მსწრაფლად დაუტევა, განჯა და მიიქცა თჳსს ქუეყანად, რათა განიმრავლოს ჯარი. დროსა მყოფობისა მეფეთა განჯასა შინა მოერთჳნენ მათ განჯის ხანი, მხედრობა მისი და მცხოვრებნი. შემდგომ რაოდენისამე დროჲსა მეფენი წარვიდნენ ყარაბაღს დასამშჳდებლად ფანის ხანისა. მეფე ირაკლი ორასის კაცით წარვიდა წინ. ჯერეთ თეიმურაზის მისვლამდე ფანა ჰსასოებდა რა მრავალ რიცხუელსა ზედა თჳსისა ჯარისასა, შემოუტია ძლიერად მეფესა ირაკლის. ირაკლი მოიქცა რა მხედართა თჳსთადმი, უთხრა მათ: „რაოდენ უმეტეს არს რიცხჳ მათი, ესოდენ უმეტეს იძლევის" და ძლიერად ეკვეთა მტერსა, შემდგომ ფიცხელისა ომისა ყარაბაღელნი ალირივნენ და უკუნიქცნენ, ამ ჟამს ირაკლის მოეშველა მეფეცა თეიმურაზ, მოსწყვდნენ მდევრულად მრავალნი მოკლეს და დაიჭირეს. მეორეს დღეს სრულიად მოარბიეს არაზის გაღმა მთელი ყარაბაღის მამული. დაჰყვეს მუნ ორი თთუჱ, დასდუჱს ხარკი განჯას, ყარაბაღსა ზედა და ვალად დაუდვეს, რათა შემთხვევასა შინა საჭიროებისასა მო-

სცენ ჯარიცა. ესრეთ გამარჯვებულნი მოიქცნენ ტფილისად. მასვე წელსა შინა დაღისტნელნი ჩვეულებისამებრ თვსისა მოპარვის გვარად დაესხნენ ელებსა, მოარბიეს და მოსტაცეს საქონელი. ჰყსცნეს რა მეფეთა, უყვეს დევნა და ეწივნენ დამლისს (*), მუნ შეიბნენ, გამარჯვებულთა მეფეთა მრავალი მოკლეს და უმრავლესნი მოიმთვნეს ალაზნისაგან, ხოლო რომელნიცა განვიდნენ მდინარესა, იგინიცა არღა დამთხვნენ ცოცხალნი მიჰმართეს მათ სიმაგრესა გორისასა, რომელიცა მოჰსქდა ტსრულებით იგინი ოიგანა ქვეშ, ესრეთ, რომელ ერთიცა არღა გარდარჩა. მეფეთა იხილეს განგებულებაჲ ღვთისა, მოიქცნენ ტფილისად და აღმოლინეს ღვთისადმი ლოცვანი მადლობისანი.

განგრძელება შემდგომს ნომერში.

## სტიხთ ქმნილებაჲ.

მოწოდებაჲ ივერთა მამულის დაცვსათვს დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს სამძღვართა შინა.

აჰ, ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი
გულის-ხმა ჰყავთ განსაჯეთ, ლექსთა მკობა წყობანი!

(*) დამლისი არს ადგილი, სადაცა შეერთდებიან მდინარენი იორი და ალაზანი.

მოიგონეთ მამათი, ძველნი კეთილ ცნობანი
სიყვარული ერთობა, სიმართლის თქმა ტრფობანი,
ახ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი.

*

აწ მინდა მოგაგონოთ, ძველად ქართველთ ქცევანი
მამულთა დაცვა ფარვა, მეფეთ ერთგულებანი
მტერთა რისხვით დაცემა, ორგულთ შეიწრებანი
სიმხნე და ვაჟკაცობა, აქვნდათ ვითა მცნებანი
ახ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი.

*

პირველად მსახურებდნენ, მცხეთის მამასახლისსა,
შეჭურვილნი ჯაჭვ ჩაჩქნით, მქონე ლომებრ სახისა
ბრძანებისა დამცველნი, ძველისა თუ ახლისა
სიტკბოებით ცხოვრება, ურთიერთარს ხლებანი
ახ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი.

*

ქალნი სახით მნათობნი, კეთილ-აღმზრდელნი შვილთა
მშვიდნი წყნარნი კეკლუცნი, შემკულნი სიწმინდითა
მორთულნი მოკაზმულნი, სათნოებისა მზითა,
ოჰ რა კეთილი არის, აწცა ეს გვარ ქცევანი

ახ ივერნო ისმინეთ , ჩემ მოხუცის თხრობანი .

*

ჰხედავთ კავკაზის მთასა , წვიმა ღრუბლით მოსილსა
გრგვინავს ქუხს მეხსა ისვრის , გწყლავს ნათლით შემოსილსა
ჩრდილოეთის მზე გკურნებსო , მრავალ გვარად კოდილსა
ქართლო სმა თქვენ გასწავათ , სიმკრე მტერთა წყლობანი
ახ ივერნო ისმინეთ , ჩემ მოხუცის თხრობანი .

*

ფარნაოზ მოკლა აზონ , მეფედ ალვიდა ტახტსა
შავი ზღვით და კასპიით , ყოვლ-მხრივ შეკრებდა ხარკსა
მისნი მარად სიუხვე , ჰგვანდა მდინარეს წყალსა
თავადთა აზნაურთა , მაშინ იქმნა კრებანი
ახ ივერნო ისმინეთ , ჩემ მოხუცის თხრობანი ,

*

არმაზ ზალეთ ალმართეს , ჰტივ ჰსცეს ვითა ღმერთსა
პირმშოთ შვილთ დაუკლევდეს , შეჰწირვიდენ მათ მსხვერპლსა
წმინდა ნინო , დალეწნა , მირონ ჰსცხო მირიანსა
მაშინ განათლდა ქართლი , იქმნა სულის მკობანი
ახ ივერნო ისმინეთ ჩემ მოხუცის თხრობანი .

*

ვახტანგ მეფე გორგასლან , მტერთ მიმცემი რისხვისა

დავით მეფეს უწოდდნენ, აღმაშენად ქართლისა
მეფა თამარ, მებრძოლი, დამცემი სპარსეთისა
მათ მიერ ჩვენ ვისწავეთ, სიმხნე მტერთა წყობანი
ახ ივერნო ისმინეთ ჩემ, მოხუცის თხრობანი.

*

შემდგომ მივიწყევნით, მიკოთს უბედობასა
სამ სამეფოდ განყოფას კერძოებით ფლობასა
მტერთ მიიღეს მძლევანი, მიგვცეს აოხრებასა
ამის მიზეზი იყო, ჩვენნი უთანხმოებანი
ახ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი.

*

ბრძენმან მეფე ირაკლიმ, ერგასის წელ მფლობელმან
მან განამრავლა სწავლა, კეთილისა მცნობელმან
მოგვცა შვება დიდება, ივერთ აღმშენებელმან
ყოველთა მეფეთ უკვირდათ, ეს გვარნი მხნეობანი
ახ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი :

*

რა სცნა გიორგი მეფემ, ქართველთ შეიწრებანი
ყიზილბაშთ ოსმალთაგან, ყოვლთვის აოხრებანი
მიგვცა იმპერატორსა, მივიღეთ დიდებანი
მზისა შარავანდთაგან, იქმნა ფარველობანი

ახ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი.

*

ცუდი მური ბოროტი, მეეროების დამსხნელი
ყოვლის მფოთით ალსავსე, სინიდისის მამკვლელი
იგი არის სამსალი, კეთილთა ალმომფხვრელი
მე მამულის მოყვარეს, გულთა ისართ სობანი
ახ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი.

*

ჩრდილოეთის მზე ნათობს, თქვენ დაგირულებთ თვალი
თხრავთ ჰსწყხსართ იგანჯავით, გელდებათ ცეცხლის ალი
სიყვარული მოიგეთ, ვით მაშვრალს გწყურდეს წყალი
მაშინ დაეცეს მტერი, მიიღოს დამხობანი
ახ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი

*

აი დრო ოქროვანი, გფარავთ იმპერატორი
ზემო თქმულნი მეფენი, აროდეს თანასწორი
თქვენნი მტერნი დაეცნენ, მახლობელნი თუ შორნი
აჰა შვილთა დიდება, ჰსწავლია ალზრდილობანი
ახ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი.

*

ჩემო ძმანო შემოკრბით, სიყვარული მოიგეთ

შურნი და მტერობანი, ჰსდევნეთ ჰსცანით გაიგეთ
მთავრობათ ბრძანებანი, ვითა სჯული დაიდეთ
მაშინ იქმნას დიდება, თქვენნი განსვენებანი
აჰ ივერნო ისმინეთ, ჩემ მოხუცის თხრობანი.

✻

მიიღეთ გულისხმა ჰყავთ, ესე ჩემნი მცნებანი
გაქმო. თქვენი გონება, მსურდეს მარად ხლებანი
ყოვლის ცუდის საქმისა, გაქვნდეთ დავიწყებანი
იქმნას შვება დიდება, ურაა მრავალხმობანი
აჰ ივერნო ისმინეთ ჩემ მოხუცის თხრობანი.

✻

---

მე თქვენთავი შევწირეთ, ვფიცავ ძალსა უსძლოსა
დამჭკნა შვებით ყვავილნი, ვით წალკოტსა უწყლოსა
მე მაშინ მივიწიო, სიხარულსა უცხოსა
როს ვიხილომე თქვენი, ძლევა კეთილობანი
აჰ ივერნო ისმინეთ ჩემ მოხუცის თხრობანი.

●

მე თქვენ გთხოვთ ჩემნო ძმანო, მსახურეთ იმპერატორს
აჩრდილი არის ღთისა აწ უსმინეთ სენატორს
ესრეთ დასწერეს ძველად, სამღთოსა და საეროს
მაშინ განათლდეს ქართლი, თქვენ მიიღოთ შვებანი

ახ ივერნო ისმინეთ ჩემ მოხუცის თხრობანი :

*

ლ. ლ. სენ. თავადი გიორგი ერისთოვი.

---

# პოემა

## ოსური მოთხრობა

### დანარმელება

,,მაშინ, როს საქართველოს, ლუარსაბი მეფობდა,
,,ქსანზედ ელიზბარ ძმისწულითურთ ერისთაობდა;
,,იყო სპარსეთსა მეფე შაჰაბაზ, მტერი ქართველთა,
,,ამან ინება უპირველეს, მოსრა კახელთა.
,,მწრაფლ წარმოგზავნა არტაანის ხან ფეიქარი,
ბატრიონიდგან და ნუხადმდე დადგა თათარი.
,,სრულიად აღხოცეს ქრისტიანობა მთელსა კახეთსა,
,,არლა იყო კაცი მორწმუნე გარდა თუშეთსა:
,,იყო მაშინ: ჩოლაყას მე მთავარი კახთა,
,,მხნე და მებრძოლი. და მტერისა მიმცემი ახთა,
,,აგი მოვიდა ელიზბარის და მალვას წინა. !

,,მან სრულ უამბნა ვით თათართ კაცნი ეხლინა,
,,მე მაქვს იმედი თავის ჩემის ზეცისა ძალით,
,,თუ შემეწევით მათ განვდევნით ჩუენისა ხრმლითა.
,,დაცა არღვიეს წმიდანი ხატნი მათ უსჯულოთა,,
,,ეკკლესიანი შეუქმნიათ, საჯინიბოთა.
,,შემეწიენით ერისთავნო თქვენის კარითა!
,,ვიცი რომე ვძლევთ წინას ძლომით წმიდის ჯვარით

*

,,მწრაფლად აღუთქვეს შეწეობანი,
,,კაცნი გაგზავრეს შეკრიბეს ჯარი,
,,იდუმალ წარვლეს მიმართეს თუშთ,
,,შეკრიბეს სრულად მხარე მთიულთა.
,,ღამესა ერთსა წყვდიადსა ბნელსა,
,,ეწვივნენ დილით არტაანელსა.
,,თათართ ეწვიათ რისხვა მაღლისა,
,,მოვითხრო საქმე ვასგირგირისა,
,,თეთრსა ცხენზედა თურმე მჯდომელი,
,,იყო თათართა ამომწყვეტელი.
,,სრულად ასწყვიტეს ღელა წყლითა,
,,გაასწორო ხატმან ცხენ სიმაღლითა
,,თვარა არ დარჩა მათგანი ერთი:

,,ქერძოთ ეწიათ ჩუენებსა ღმერთი.

*

,,რა სცნა შაჰაბაზ, თჳს ჯარისა ამოწყვეტანი,
,,მეის დაიბარა სპარსეთისა სრულიად ხანნი.
,,მსწრაფლად მომართა საქართველოს აღსაოხრებლად
,,მოვიდა განჯას და მუნ დადგა განსასვენებლად
,,მუნით მოსწერა ეს გვარ წიგნი ჩუენსა მეფესა,
,,მიცნობ მეფეო! შაჰაბაზსა, [illegible]ერთ სისხლ მჩქეფესა!
,,მიკვირს მეფეო! ეს საქმე ვით მოგხდენიეს,
,,რომ ჩემი ჯარი თქუენთ ერისთავთ აუწყვეტიეს!!
,,კუნლიდაც ვკვირობ ამ საქმესა ვითა ჰბედავდი!
,,რომ შემდგომთათჳს სრულებითა ვერა ხედავდი!
,,გირჩევ ერთ საქმეს ლუარსაბ მომიგდე ყურნი,
,,წარმომიგზავნე ერისთავნი ხელებ შეკრულნი,

*

,,რა მოუვიდა წიგნი მეფესა,
,სრულიად მოუწოდს დარბაზის ერსა.
,,შემოკრბით სრულიად ჩემნო ვეზირნო.
,ძმანო და შვილნო, ზოგნო დაზრდილნო,
,ეს წიგნი სპარსთა შაჰაბაზისა,
,მას ჩუენზედ უთქუამს შეყრა ჯარისა

„რის დაამარცხეს არტანელი
„და რა ასწყვიტეს თათართა ელი,
„ვიცოდი, რომე არ შეგვარჩენდა,
„ყოველი ერი მას დაგვგმობდა
„შევვებნათ ანუ ვით მოვაგვაროთ!
„სჯულის ერისთვისაც აქ დავიბაროთ
„თვით ესე საქმე ჰქმნეს რა უჩემოთ,
„შეცააპიროთ მათ მივაჩემოთ,
„ყოველთ უწონეს ესე თათბირი,
„დაცა აპირეს ეს გვარი პირი.
„მათ დაიბარეს ელისბარ შალვა,
„მისწერეს ყველა არ ქმნეს დამალვა.

განგრძელება შემდგომს ნომერსა შინა.

## კრიტიკა

შენიშვნა დამარხვს წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოჲსათა, რომელიცა დაბეჭდილი იყო პირველსა ნომერსა მინა, რუსულთა გაზეთთასა 1832-სა ამას წელსა,

წარვიკითხე რა იგინი და შევათანსწორე ვახუშტის ისტორიასა, რომელსაცა შინა აღწერილ არიან ყოველნი წესნი და ჩვეულებანი.

ჩუეულნთა მეფეთანი და სხუათა საკუთრად შედგენილთა წესთაცა, რომელნიცა იკმარებოდნენ უკანასკნელსა დროსა შინა, ვიხილე მე ფრიად მრავალნი უთანხმოებანი და შეცთომილებანი; ამისთჳს ვალად ვჰრაცხ, რათა წარმოვუდგინო იგინი, მკითხველთა ჩემთა, რომელთამიერცა მოტყუებულ არს საზოგადოება.

უფალი დარლეიმპლი არა მცოდნე ქართულისა ენისა და არცა ზნეობათა და ყოფაქცევათა საქართველოს ერთასა, ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამოჩენილსა სიცრუესა, ხოლო მკითხველნი ჰგონებენ ყოველსა მას ჭეშმარიტად.

უმთავრესი შეცთომა მისი მიეწერების დროსა. მან აღწერა დამარხვისათჳს უკანასკნელთა მეფეთა და ჰსთქუა ყოველი იგი, რაიცა ეკუთვნოდა საკუთრად უძველესსა დროსა; ერთის სიტყვით ვჰსთქუა, წესი მეფეთა დამარხვისა აღმოწერა ისტორიიდამ მეფის მის ვახტანგისა, რომელიცა დაწესებულიყო უწინარეს ათას ხუთასისა წლისა და გამოიცა თავის სახელით. ყოველი განსხუავება მას შინა მდგომარეობს, რომელ მან წარმოადგინა მოგონილის სიტყვებითა და მოქმედებითა, რომელნიცა არა ეკუთვნიან არცა ძველსა და არცა ახალსა დამარხვის წესსა.

უფალი დარლ. ჰსწერს: „შემდგომ მეფის გარდაცვალებისა „ყოველნი სასახლის, სამოქალაქონი და სამხედრონი მოხელენი,

ტფილისსა შინა მყოფნი შეკრბებოდნენ სასახლესა შინა. „ აქა არა უხმობს არცა ვაჭართათჳს, არცა სხუათათჳს, რომელნიცა მას წამსავე გამოცხადდებოდნენ დანიშნულს ადგილს; გარდა ამისსა არა ჰსწერს, რომელ ყოველნი ჩინებულნი და მატიცემულნი სასულიერონი და სამოქალაქონი გუამნი, ვითარცა ქალაქსა ამას შინა მყოფნი, ეგრეთვე ქართლისა, კახეთისა და სხუათა ადგილთა შინა, ოდეს მიიღებდნენ უწყებასა, მაშინვე იწრაფდნენ ტფილისად მოსვლასა და ტირილსა გარდაცვლისათჳს მეფისა თჳსისა.

შემდგომ იგი მოუთხრობს ,, ცოლნი ჩინებულთა კაცთანი დასხდებოდნენ მარცხნივ ტახტისა, რომელსაცა ზედა იდვა ცხედარი ,, ხოლო საკელმწიფონი მოხელენი მარჯვნივ მხარესა მისსა. — ესე არს სრულიადი სიცბილი. ქალნი, რომელთაცა აქუნდათ ადგილი სამეფოს სახლსა შინა შეკრბებოდნენ საკუთარსა სასტუმროსა შინა, სადაცა ბრძანდებოდა დაქვრივებული დედოფალი ნათესავებითურთ თჳსით; ხოლო საკელმწიფონი მოხელენი მივიდოდნენ რა კუბოსთან და განაცხადებდნენ მწუხარებასა, გამოვიდოდნენ მეორესა სასტუმროსა შინა, სადაცა ბრძანდებოდა ახალი მეფე და დასხდებოდნენ ხარისხისაებრ თჳსისა. გარნა სჯული მეფის ვახტანგისა უკანასკნელსა დროსა ამას არ იყო განხსნილი და დაპირქვავებული, ვითარცა უხმობს ფვალი ლარდ.

სჯულდებულება, თქმული ისტორიასა შინა მეფის მის ვახტანგ-ისასა არ იყო მეფის ვახტანგისა, არამედ იყო სხუა თარგმნილი ბერძულიდამ.

ისტორიასა შინა მეფის მის ვახტანგისასა 26 ს– გვერდში ითქმულარს „ ტახტთან, სადაცა ეწყო ნიშანნი ქვრივისანი, ისხ-ადნენ ცოლნი საჩინოთა კაცთანი. ხოლო უფალი დარდეიევი გამოცემასა შინა თჳსსა უმატებს: „ ცოლნი ჩინებულთა კა-ცთანი დაბურვილნი თავიდამ ფეხებამდე თეთრის ჩადრით დასხ-დებოდნენ დაბალს სკამსა ზედა, ანუ დივანსა, იცვემდნენ მკერდსა და ჴმამაღლად ჰკოდებდნენ. — ესე სრულიად სიცრუე არს: ვინაჲთგან დაბალი სკამები და დივანნი დროსა მას არ იყო ქმარებასა შინა, თეთრის ჩადრის ნაცვლად, ჰქონდათ წესისა ებრ შესაბამნი სამოსნი, იცვემდნენ მკერდსა თუ არა, ცერემონი-ალსა შინა არა ითქმულარს.

უფალი დარდ. უზნობს: „ ყოველნი ესე მოხელენი, ეგე-ოდენ, მდივანნი ანუ მინისტრნი და ცერემონი მეისტრნი ერთთა-ვე წესითა შეუდგებოდნენ კუბოსა „. — სრული ცერემონიალი-მან განსაზღვრა მხოლოდ პირთა ამათ მიერ მაშინ, სადაცა ცერე-მონიალსა ეკუთვნოდნენ: ყოველნი ჩინებულნი თავადნი, აზ-ნაურნი, ვაჭარნი, კეთილნი, გლეხნი, ერთის სიტყვით ყოველი კრება განყოფით მისდევდა კუბოსა.

დასასრულ უფ. ლარ. ჰსწერს: „კუბო მიჰქონდათ მცხე-
თამდე, საიდამაცა „იქაური სამღვდელოება მოეგებებოდა და
შეიტანდა სობოროს ეკკლესიასა შინა" — ამას კი არსად უწ-
ნოშს, რომელ ტფილისიდამ ყოველნი საქართველოს არქიერნი,
არქიმანდრიტნი და სხუანი სასულიერონი გვამნი წინაუძღოდნენ
ცერემონი ებრის წესითა მცხეთამდე და თჳთოეული მათგანი
ხარისხისამებრ თჳსისა ადგილსა ზედა თჳსსა დასდგებოდა.

ერთის სიტყჳთ ვსთქუა: წესი დამარხვსა საქართველოს
მეფეთა, რომელიცა ფრიად საკმაოდ უწინარეს ცნობილარს საზო-
გადოებისადმი უსწორდისოდ გარდმოუწერია უფალს ლარდეიევს,
მეფის მის ვახტანგის ისტორიიდამ, რომელიცა დაბეჭდილ - არს
რუსულსა ენასა ზედა ს. პეტერბურღს 1814 სა- წელსა.

ფრიად სასირცკვილო არს უ. ლარდეიევისათჳს დაბეჭდვა
ტფილისის გაზეთთა შინა ესრეთისა წესისა და გამოცემაცა სახე-
ლითა თჳსითა, ეგრეთვე არცა შეენდობის გამომცემელსა გაზე-
თისასა ესე ვითართა სიცრუეთა მიღებისათჳს, ნუ უკვე არა წარუ-
კითხავს ისტორია საქართველოჲსა მეფის მის ვახტანგისა, საიდ-
განცა გარდმოუწერია უფალს ლარ. ხსენებულნი წესნი და ჩუე-
ულებანი, ყოველნი უწინარეს ათას ხუთასისა წლისა.

დასასრულ უყურადღებულთა მკითხველთა ჩემთა განმაჯე-
ლობასა წარმოვუდგენ მდაბლსა სულისა აზრსა უ. ლ. თუ რაოდენ

მცნაურ და ცთომილარს ცნობასა შინა ზნეობათა, წესთა, ჩუეულებათა და ყოფაქცევათა მამულისა ჩუენისათა და თჳნიერ ყოვლისა პირმოთნეობისა სიყუარულითა ჭეშმარიტებისათა ცხოველყოფ სრულიადისა სიცხოველისა მისისა, რომელსაცა დაუფუძნებია გამოცემანი თჳსნი ნამდჳლისა ცთომილებასა ზედა; ხოლო გამომცემელნი რუსულისა გაზეთისანი არა მცოდნენი ნამდჳლთა ზნეობათანი თჳნიერ ყოვლისა განხილვისა ჰბეჭდვენ თჳსსა გამოცემასა შინა ყოველსა უჯვანსა და ლარდჲგევისმიერ შედგენილსა.

ს. დ. . . .

---

ერთმან მიიღო მკურნალისაგან ნება, რათა ღვინო დალიოს ოლოდ მაშინ, ოდესაც ჰშიის სადილათ. მან ჭეშმარიტებით აღასრულა სიტყუა მკურნალისა: დილით საღამომდი იჯდა სადილათ და ჰსვამდა ღჳნოსა.

---

იცი, რომელი იმ კაცს წარსულს კჳრას სტაქანს ღვინოში დაუკარგავს გონება, ახლა ეძებს და ვერ უპოვია.

---

ნებართულ არს დაბეჭდუად: ტფილისი, თებერვლის 5-სა 1832სა წელსა.